



5461-01-2-201312101358



N 01/5461
10/12/2013

საქართველოს პრემიერ-მინისტრს
ბატონ ირაკლი ღარიბაშვილს

ბატონო ირაკლი,

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 49-ე მუხლის შესაბამისად, გაახლებთ საქართველოს ენერგეტიკის სამინისტროს ანგარიშს ინფორმაციის თავისუფლების შესახებ, დაკავშირებულს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის დებულებათა შესრულების თაობაზე.

დანართი: 1 გვერდი

პატივისცემით,

კახა კალაძე
მინისტრი

საქართველოს ენერგეტიკის სამინისტრო

საქართველოს ენერგეტიკის სამინისტროს 2013 წლის ანგარიში სამინისტროში საქართველოს
ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 49-ე მუხლით გათვალისწინებული ინფორმაციის
თავისუფლების მდგომარეობის შესახებ

2013 წლის განმავლობაში საქართველოს ენერგეტიკის სამინისტროში საჯარო ინფორმაციის მოთხოვნით შემოვიდა 62 განცხადება. სამინისტროს მიერ ყველა განცხადებაზე განხორციელდა შესაბამისი რეაგირება და გაცემული იქნა მოთხოვნილი ინფორმაციები მოქმედი კანონმდებლობის თანახმად.

საჯარო ინფორმაციის სრულყოფილი სახით გაცემასთან დაკავშირებით შემოვიდა 1 ადმინისტრაციული საჩივარი, რომელიც განმცხადებელმა უკან გაითხოვა.

საჯარო მოხელეების მიერ ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის დარღვევისა და პასუხისმგებელი პირებისათვის დისციპლინური სახდელის დადების ფაქტს ადგილი არ ჰქონია.